ჰ. ნავფალის აღმოსავლელი ქალის დეფინიცია ჟურნალ „ალ-ფათა“-ს მიხედვით

სალომე ბოჭორიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
+995599383813. salome.bochorishvili958@hum.tsu.edu.ge
https://orcid.org/0009-0006-3377-065

აბსტრაქტი

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ბრიტანეთის მიერ ოკუპირებული ეგვიპტე დეკოლონიალიზმის, ნაციონალიზმისა და მოდერნიზაციის მოძრაობათა ეპიცენტრში იმყოფებოდა. ბრიტანული კოლონიალიზმი არამხოლოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, არამედ საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო.

სწორედ ამ პერიოდში, ე.წ. „ქალის საკითხი“ (არაბ. قضية المرأة კადიYათ ალ-მარ’ა) – როგორი უნდა ყოფილიყო ეგვიპტელი ქალი – ძირითადად მოიცავდა ქალის მდგომარეობის ცვლილებას, იმისთვის, რომ ყოფილიყო უკეთესი დედა, ცოლი და დიასახლისი, ერთ-ერთ ცენტრალურ თემად იქცა ნაციონალიზმის, დეკოლონიალიზმის და პროგრესის შესახებ დისკუსიებში. მამ-

რობითი სქესის წარმომადგენელთა მიერ დომინირებულ ქალთა საკითხის განხილვაში თანდათან თვითონ ქალებიც ერთვებიან წერილობითი, პერიოდული გამოცემების დაარსებით.

1892 წელს ჰინდ ნავფალის მიერ დაარსებული ჟურნალი „ალ-ფათა“ (არაბ. الفتاة ახალგაზრდა გოგონა), პირველი არაბულენოვანი, ქალის მიერ და ქალებისთვის შექმნილი გამოცემაა, რომელიც მნიშვნელოვანი წყაროა იმისათვის, რომ გავიაზროთ, როგორ ხედავდნენ იმ პერიოდის ქალები საკუთარ თავს და როგორ ცდილობდნენ არსებულ პოლიტიკურ, გენდერულ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში ორიენტირებას.

საკვანძო სიტყვები: კოლონიალიზმი, ნაციონალიზმი, ქალის საკითხი, აღმოსავლელი, არაბი ქალი.

შესავალი

ქალის ტრადიციული როლის შესახებ საუკუნეებით გამყარებული რწმენა-წარმოდგენები, გაიგივებული იყო ოჯახის კულტთან, სადაც ქალის სათნოება დაკავშირებული იყო ღვთისმოსაობასთან, მორჩილებასთან, მეოჯახეობასთან, მოიცავდა რეპროდუქციულ ფუნქციას, შვილების აღზრდას, შეზღუდულ ან სრულად აკრძალულ განათლების უფლებას, საჯარო სფეროდან იზოლაციას, ზღვარდადებულ ოჯახურ-ნათესაურ ურთიერთობებს. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ახლო აღმოსავლეთში, ეგვიპტეში ისევე როგორც მთელს მსოფლიოში დაიწყო ქალის შესახებ ზემოაღნიშნული შეხედულებების გადააზრების პროცესი.

XIX საუკუნის ბოლოს ოსმალეთის იმპერიაში მყოფი, ფართო ავტონომიით მოსარგებლე ეგვიპტე, ბრიტანეთის მიერ კოლონიზირებული ხდება. ეგვიპტური საზოგადოებისათვის ქა-

ლთა საკითხის აქტუალიზაცია ამ პერიოდში მეტწილად განპირობებული იყო ნაციონალიზმის, დეკოლონიალიზმის, მოდერნიზაციის პროცესით და ასევე კოლონიზატორის, დასავლეთის გავლენით. როგორც მ. ბუსი აღნიშნავს „ნაციონალური დღის წესრიგის წარმოშობის დროს, ქალთა საკითხი შემოთავაზებული იყო როგორც ძირითადი საკითხი ახალი საზოგადოების განსაზღვრისთვის“ (Booth, 2001: 173). აღსანიშნავია, რომ ქალთა არსებული მდგომარეობის ცვლილების აუცილებლობა, ქვეყნის პროგრესისა და დეკოლონიზაციის პროცესის კონტექსტში ცენტრალური მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა კონსერვატიული თუ ლიბერალური ძალებისათვის, რამდენდაც მიაჩნდათ, რომ „ქალის პოზიციის გაუმჯობესების გარეშე ერის მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ მოხდებოდა“ (Amin, 1970: 137).

აკრძალული პოლიტიკური გაერთიანებების პირობებში, ქვეყანაში განწყობათა მობილიზაციისა და კონსოლიდაციის ეფექტურ საშუალებას ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ქალის საკითხი (კადიᲂათ ალ-მარ’ა) და ქალთა აღორძინების მოძრაობა (არაბ. النهضة النسائية ან-ნაჰდა ან-ნისა’ია) პირდაპირ არის დაკავშირებული ქალთა პერიოდული გამოცემების დაარსებასთან. ქალთა პრესამ (არაბ. المجلة النسائية ؛ الصحف النسائية ალ-მაჯალათ ან-ნისა’ია; ას-საჰაფათ ან-ნისა’ია) გზა გაუხსნა ემანსიპაციის პროცესს, რამდენადაც ქალთა ჟურნალ-გაზეთები წარმოადგენდა, არამხოლოდ ბრძოლის ინსტრუმენტს, არამედ სფეროს, რომლის ევოლუცია პირდაპირ ასახავს ქალის მდგომარეობის, განათლების, პროფესიული დონისა და უფლებრივი სტატუსის ცვლილებას.

პირველი არაბულენოვანი ქალისათვის განკუთვნილი ჟურნალი „ალ-ფათა“ (ახალგაზრდა გოგონა) 1892 წელს ეგვიპტეში, ალექსანდრიაში დაარსდა. მისი დამაარსებელი და რედაქტორი პირველად არაბული პრესის ისტორიაში იყო ლიბანელი ქალი,

ქრისტიანი ჰინდ ნავფალი. სტატია მიზნად ისახავს ეგვიპტეში ქალთა ემანსიპაციის საწყის პერიოდში და თანადროული პოლიტიკური მოვლენების საერთო კონტექსტში, ჟურნალ „ალ-ფათა“-ს მიხედვით წარმოადგინოს: ჰ. ნავფალისეული აღმოსავლელი, არაბი ქალის დეფინიცია: ქალის სოციალური როლი, მისი უფლებები და მოვალეობები საზოგადოებასა და ოჯახში, ასევე სქესთა შორის ურთიერთმიმართების იდეა; თუ როგორ პასუხობს თავისი ჟურნალით ამ პერიოდში დომინატურ დისკურსს „ქალია საკითხის“ შესახებ, რომელიც გულისხმობდა ქალის სტატუსის გაძლიერებას ოჯახში.

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია გენდერული თანასწორობის საკითხის კვლევის მნიშვნელობით არაბულ-მუსლიმური სამყაროს კონტექსტში. XIX საუკუნის ბოლოს ეგვიპტეში ქალთა პრესა მნიშვნელოვანი გავლენით ხასიათდებოდა სოციალურ პროცესებზე: იგი ხელს უწყობდა ქალთა სოციალური სტატუსის განმტკიცებასა და მათ სამოქალაქო და სოციალურ უფლებებზე ცნობიერების ამაღლებას. ჟურნალ „ალ-ფათა“-ს ანალიზი იძლევა საშუალებას გამოვკვეთოთ პირველი არაბულენოვანი ქალთა ჟურნალის რედაქტორისა და დამაარსებლის – ჰინდ ნავფალის, ინდივიდუალური ხედვა, XIX საუკუნის მიწურულს „ქალის საკითხის“ ფართო დისკურსის ფარგლებში.

კვლევის მეთოდოლოგია დაფუძნებულია ობიექტურობის პრინციპზე და ეფუძნება ქალთა პრესის კონტექსტუალურ, აგრეთვე სტრუქტურულ-ფუნქციურ ანალიზს.

სტატიის ძირითად წყაროს წარმოადგენს თვითონ ჟურნალ „ალ-ფათა“-ს, არაბულენოვანი ვერსია და ეყრდნობა შემდეგ სტატიებს: პირველი ნომერი (პირველი სტატია-გაცხადება, კავშირი, ნებართვა; მერვე სტატია - ქალის მოვალეობები და უფლებები „ალ-ფათა“); მეორე ნომერი (პირველი სტატია -

მადლობა და ქება; მეშვიდე სტატია - ქალის მოვალეობები და უფლებები, რა სურს ცოლს თავისი ქმრისგან); მეოთხე ნომერი (მეხუთე სტატია - ქალის მოვალოებები და უფლებები, წერილი მკითხველისგან საფრანგეთიდან); მეხუთე ნომერი (მესამე სტატია - ქალის ვალდებულებები და მოვალეობები, მოკლე შინაარსი წიგნისა საოჯახო მენეჯმენტი, რომელიც გამოცემულია ეგვიპტეში); მეექვსე ნომერი (მეცხრე სტატია „ქალის ვალდებულებები და მოვალეობები, მოკლე შინაარსი წიგნისა საოჯახო მენეჯმენტი“, რომელიც გამოცემულია ეგვიპტეში, წინა ნომრის გაგრძელება); მეათე ნომერი (სტატია პირველი - გაზეთის ადმინისტრაციის განცხადება; სტატია მეორე ალ-ფათა).

შედეგები

ჟურნალ „ალ-ფათა“-ს კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ერთი მხრივ ჰ. ნავფალი იზიარებს იმ დროს არსებულ მთავარ დისკურსს ქალთა საკითხზე, რომელიც განიხილავდა ქალს, როგორც დედას, ცოლსა და დიასახლისს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინსვლის კონტექსტში, მეორე მხრივ კი მიიჩნევს აღმოსავლელ არაბ ქალს როგორც მამაკაცის პარტნიორს (არაბ. شريكة შარიქა) და არა მასზედ დაქვემდებარებულს, და მხარს უჭერს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის აქტიურ ჩართულობას.

მსჯელობა

აღმოსავლელი, არაბი გოგონა

ჰინდ ნავფალი (1860-1920) იყო ლიბანელი მართლმადიდებელი ქრისტიანი. მან განათლება მიიღო სამშობლოში, ქრისტიანულ მისიონერულ სკოლაში, სადაც სწავლობდა ინგლისურს და არაბულს. ოჯახის ალექსანდრიაში გადასვლის შემდეგ კი სწავლა კვლავ მისიონერულ სკოლაში განაგრძო, არაბული და ფრანგული ენების შესწავლით.

იმ პერიოდში მისი ოჯახი ქალის განათლებისა და სოციალური როლის მიმართ, უმრავლესობისგან განსხვავებით, დად-

ებითად იყო განწყობილი. ჰინდის დედა, მარიამ ან-ნაჰასი გამოჩენილ ქალთა შესახებ პირველი არაბულენოვანი ბიოგრაფიული ენციკლოპედია-ლექსიკონის ავტორია.[74] ჰინდის მამა და ბიძა აქტიურად იყვნენ ჩართული საგამომცემლო საქმიანობაში და რამდენადაც ეგვიპტე XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ოსმალეთის იმპერიის სხვა მხარეებისგან განსხვავებით, ხასიათდებოდა პრესის მეტი თავისუფლებით, ნავფალის ოჯახი ალექსანდრიაში გადავიდა საცხოვრებლად. ოჯახი არამარტო მხარს უჭერდა ჰინდს განათლების მიღების დროს, არამედ შემდგომ საგამომცემლო საქმიანობაშიც ეხმარებოდნენ მამა და და.

პატრიარქალურ, მუსლიმებით დომინირებულ ეგვიპტეში ქრისტიანი, ლიბანელი, მიგრანტი ქალი აარსებს პირველ პერიოდულ გამოცემას და პირველივე ნომერში ცდილობს გააქარწყლოს მისი რელიგიურ-ეროვნული კუთვნილებით თუ გენდერული ნიშნით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი განწყობები საზოგადოებაში.

პირველ ნომერს იწყებს შემდეგი წინადადებით „ო, ცოდნის ქაღლღმერთო (სავარაუდოდ ნაგულისხმევია ეგვიპტური მითოლოგიის ცოდნის ქალღმერთი სეშათი), ო დიდსულოვნების ქალღმერთო, სიცოცხლით აავსე ის, რაც ჩემმა კალამმა დაწერა, აავსე ის კეთილგანწყობით, ეს შენი გოგონააა, როგორც დროშა, არაბებს შორის.’’[غضى منعمة الود بحسن تصفحيه الكرم ربة يا بل العلم ربة يا كالعَلم العرب بين فتاتك هذى قلمى خطُه عما لحاظك ( ) الفتاة; 1892, 1#: 19) მიგვაჩნია, რომ ჟურნალის პუბლიკად არაბების დასახელებით თავიდანვე ცდილობს აღმოფხვრას ეროვნული ნიშნით მიუღებლობა, რამდენადაც ამ პერიოდის ეგვიპტურ საზოგადოებაში მზარდი იყო უცხოელების მიმართ უკმაყოფილება, რამდენადაც მიაჩნ-

[74] პირველი ნაწილი გამოვიდა 1879 წელს ხედივ ისმაილ ფაშას მესამე ცოლის ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო მეორე ტომი დაიკარგა აჰმად ‘ურაბის აჯანყების დროს (1882 წ.).

დათ, რომ ისინი ადგილობრივებზე მეტი პრივილეგიით სარგებლობდნენ. ხოლო ქრისტიანები მიაჩნდათ დასავლეთის, ბრიტანეთის მოკავშირეებად.

ქრისტიანი რედაქტორის მიერ მუსლიმური უმრავლესობის მქონე ეგვიპტური საზოგადოებისადმი მისასალმებელ, პირველ სტატიაში წარმატებაში დახმარების თხოვნა ეგვიპტური მითოლოგიის ქალღმერთისათვის, აღქმული უნდა იყოს ნავფალის მიერ ქვეყნის შიგნით აუდიტორიის განწყობების გათვალისწინებად. რამდენადაც ეგვიპტის მუსლიმური და კოპტური საზოგადოება ერთგვარად თავს ძველი ეგვიპტის მემკვიდრედ მიიჩნევს. ასევე ეს გარკვეულწილად გამოხატავს რედაქტორის მიერ რელიგიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკის არჩევას.

3. ნავფალის ხაზს უსვამს, რომ მისი ჟურნალი არის პირველი ქალთა ჟურნალი აღმოსავლეთის ცის ქვეშ, რომ ის წერს აღმოსავლელ გოგონაზე, რომ ჟურნალი ერთადერთია აღმოსავლეთში, რომელიც გამოხატავს ქალთა ფიქრებს, ავრცელებს მათ გულისნადებს, იცავს მათ უფლებებს, იკვლევს მათ ქცევებსა და ცოდნას, ხარობს მათი გონებრივი შესაძლებლობებით, ხელსაქმითა და სამაგალითო საქმეებით. მიგვაჩნია, რომ ამით ის ცდილობს როგორც ეროვნული განსხვავებულობის აღმოფხვრას, ასევე ეხმაურება არსებულ პოლიტიკურ კონტექსტს, რამდენადაც XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ეგვიპტეში საზოგადოების ნაწილს მიაჩნდა, რომ მიუღწეველი იყო ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა. ამიტომ უჭერდნენ მხარს ბრიტანეთის ოკუპაციის დასრულებას და ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ფართო ავტონომიით დარჩენას, რაც უცვლელს ტოვებდა აღმოსავლეთის ერთიანობის იდეას. პირველი პერიოდის ქალთა პერიოდული გამოცემების უმრავლესობა, ასევე მისდევდა ხელისუფლებისადმი ლოიალობის პოლიტიკას, რის ფარგლებშიც ყველა ჟურნალი

განსაკუთრებულ მადლობას უხდიდა სულტანს და ხედივს, მათი ხელშეწყობისთვის.

XIX საუკუნის ეგვიპტეში საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა კონსერვატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ დამოკიდებულებებს, რომლებიც ქალის საჯარო და განსაკუთრებით ბეჭდვით საქმიანობაში ჩართულობას მიიჩნევდა მორალის და ღირსების შეურაცხმყოფელ ქმედებად. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ჟურნალის რედაქტორის გენდერული კუთვნილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საზოგადოების დამოკიდებულებაზე თავად ჟურნალის მიმართ. რასაც ჰ. ნავფალი პირველივე ნომერში პასუხობს, სადაც წარმოადგენს ევროპის მონაცემებს, ქალთა საგაზეთო საქმიანობის წარმატებულობის შესახებ და პირდაპირ მოუწოდებს მკითხველს, რომ ეს საქმიანობა არ აკნინებს მათ ღირსებასა და მორალს, პირიქით წარმოადგენს სახელმწიფოს წარმატებულობის ერთ-ერთ განმაპირობებელსა და განმსაზღვრელს.

აღმოსავლელი, არაბი გოგონას სოციალური როლი და მისი უფლება-მოვალეობები საზოგადოებასა და ოჯახში.

1892 წლის 20 ნოემბერს ალექსანდრიაში გამოვიდა ნავფალის ჟურნალის პირველი ნომერი,[75] სულ 12 ნომერი გამოიცა და 1894 წლის მარტში ორი ნომრის გამოსვლის შემდგომ, გამოცემა შეწყდა. მიგვაჩნია, რომ ჟურნალის ფუნქციონირების შეწყვეტა განპირობებული იყო უფრო მეტად ფინანსური მდგომარეობით, ვიდრე ჰინდის გათხოვებით.

---

[75] ხოლო შემდეგი ნომერი გამოვიდა უკვე 1893 წლის პირველ იანვარს და გაგრძელდა სექტემბრამდე. პირველი ნომრის შემდგომ ყველა ნომერი გამოდოდა თვის პირველ რიცხვში, ხოლო 1894 წელს ჟურალი გამოვიდა 10 თებერვალს და შემდგომი ორი კი – 1 და 16 მარტს. პერიოდიკა ჯამში სულ 12 ნომრისგან შედგება. თავიდან ის განისაზღვრა როგორც ყოველთვიური ჟურნალი, თუმცა ბოლოს ერთ თვეში ორი ნომერი გამოვიდა.

ჟურნალის სახელწოდება „ალ-ფათა“ (არაბ. **الفتاة**) არტიკლ-იანი ფორმით არის მოცემული და ნიშნავს გოგონას, ახალგაზ-რდა ქალს. თვითონ რედაქტორი „ალ-ფათა“-ს განსაზღვრავს, როგორც: „გოგონა, და რა იცი მის შესახებ? ის არის ქალი თავისი ახალგაზრდობის გაფურჩქვნის ხანაში და სიყმაწვილის ყვავ-ილი, და ძალისა და სიცოცხლის გაფურჩქვნის ხანაში, მისი სა-ხის ნაზი გამომეტყველება კი მიუთითებს კარგ ჯანმრთელობასა და ახალგაზრდულ ენერგიულობაზე“ [**امرأة هي.هي ما أدراك وما الفتاة على اللطيف محياها ظاهر يدل الحياة وريعان القواة وعنفوان ,الصبا زهرة و العمر مقتبل في الشباب نشاط و العافية تمام**] (الفتاة; 1892, 1#:33).

ჟურნალის სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს, რომ ის საუბრობს ახალგაზრდა ქალის შესახებ და მათთვის. ავტორის მიერ ასაკობრივ ჯგუფზე ხაზგასმა განპირობებულია მისი პოზ-იციით, რაც ჩანს სხვადასხვა სტატიაში – ქალის სტატუსისა და მდგომარეობის ცვლილება უნდა დაიწყოს გოგონას, ახალგაზ-რდა ქალის ცხოვრებიდან, უფრო ზუსტად, ბავშვობიდან, მამის სახლიდან.

3. ნავფალი ჟურნალის პირველი ნომრის პირველ სტა-ტიაში „გაცხადება, კავშირი, ნებართვა“, რომელსაც იწყებს მიმა-რთვით - ჩემო ქალბატონებო, განსაზღვრავს გამოცემის მიზანს და თემატურ ჩარჩოს: „ალ-ფათა არის სამეცნიერო, ისტორიული, ლიტერატურული, იუმორისტული ჟურნალი, განკუთვნილი თავისი სქესისთვის, შექმნილი აღმოსავლეთის ცის ქვეშ, თავისი თემატიკით არ აქვს პოლიტიკური მიზნები, არ აქვს განზრახვად რელიგიური დისკუსია, არ აქვს სურვილი ისეთი საკითხების კვ-ლევის, რაც არ არის სასარგებლო ქალებისთვის, მის მიზანს არ წარმოადგენს დებატები, გარდა მშვენიერთა აღზრდასა და ღირ-სების შესახებ. ...მისი ერთადერთი პრინციპი არის მოპარული უფლებების მოთხოვნა და აუცილებელ ვალდებულებებზე ყურ-ადღების მიპყრობა.“ [جنسها في مختصة فكاهية أدبية تريخية علمية جريدة هي الفتاة]

الي فيها منزع ولا , السياسية الامور في لها غرض لا بموضوعها الشرق سماء تحت مبتكرة ,
في لها مطمع لا و , للنساء منها فائدة لا مواضيع في البحث من لها غاية ولا ,الدنية المشاحنة
...الحسناء محاسن و الهيفاء ادب في كان ما الا المناظرات
(الفتاة;] المطلوب الواجب الي الاستلفات و المسلوب الحق عن الدفاع الوحيد مبدأها فان
1892, 1# : 21)

როგორც პირველივე სტატიიდან ჩანს, ჟურნალის მიზანია: ქალებისთვის სარგებლის მოტანა; მათი მოპარული უფლებების და შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა; აჩვენოს ქალთა სილამაზე, სათნოება, რისთვისაც მის ფურცლებზე იბეჭდება ქალთა კალამს კუთვნილი მარგალიტები და ღირებული აზრები, მეცნიერების, ისტორიის, კულტურისა და იუმორის თემატიკაზე. ეს ყოველივე საწყისშივე უჩვენებს, ჰ. ნავფალის პოზიციას, რომ ის არ ითხოვს არაფერს, რაც არ არსებულა, არამედ იმას რაც მოპარული/ჩამორთმეულია და უგულვებელყოფილი ვალდებულებების შესრულებას. ჟურნალში გაჟღერებული მისი შეხედულებების ვალიდურობისათვის, აღნიშნავს, რომ მკითხველს შესთავაზებს სტატიებს ქალის მდგომარეობისა და მისი სტატუსის შესახებ ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში.

წარმატებული ადამიანების ცხოვრება, როგორც მოდელი, რომელსაც უნდა მიბაძოს საზოგადოებამ დამახასიათებელია ამ პერიოდის ეგვიპტური პრესისათვის. შესაბამისად, ქალთა ჟურნალების თითოეულ ნომერში რამდენიმე გამოჩენილი ქალის, თანამედროვე ან ისტორიული ფიგურის შესახებ არის მოთხრობილი. ჟურნალში „ალ-ფათა“ მოხსენიებული გამოჩენილი ქალებით და ბიოგრაფიებით ჰ. ნავფალი აჩვენებს საზოგადოებისათვის მისაბაძი ქალის სტანდარტს, რაც, რა თქმა უნდა, მიუთითებს თვითონ რედაქტორის ხედვაზე თუ როგორია მისაბაძი ქალი. შერჩეული პიროვნებებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ჰ. ნავფალს უნდოდა ეჩვენებინა საზოგადოებისთვის ქალი, როგორც: ძლიერი მმართველი (კლეოპატრა, დედოფლი ვიქტორია,

ეკატერინე მეორე), პატრიოტი მოქალაქე (ჟანა დარკი), განათ-ლებული, განსწავლული (ჰიპატია, ალ-ხანსა, აიშა თაიმურია). ეს, ერთი მხრივ მიზნად ისახავდა, რომ ყოფილიყო მისაბაძი მაგალითი, ხოლო მეორე მხრივ, ორივე სქესისათვის ეჩვენებინა ქალები წარსულიდან თუ აწმყოდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, რომლებიც იყვნენ განათლებულნი, აქტიური მოქალაქეები, მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში და დედის მოვალეობებსაც შესაბამისად ასრულებდნენ.

ამ კონკრეტული ადამიანების ბიოგრაფიებით, ის უპირი-სპირდებოდა აღმოსავლურ და არამარტო, საზოგადოებაში არსე-ბულ აღქმას ქალის შესახებ, რომ მათ ბიოლოგიური მახასიათ-ებლების გამო, იმიტომ რომ იყვნენ ქალები, არ შეეძლოთ ქვეყნის მართვა, აქტიური მოქალაქის როლის შესრულება, განა-თლების მიღება და ა.შ. და თუ ამას ეცდებოდა ქალი, ის ვერ შეასრულებდა მის უპირველეს მოვალეობას ყოფილიყო – კარგი დედა. მაგალითად, ნავფალის თანამედროვე აიშა თაიმურია, რომელიც მიიჩნევა პირველ ემანსიპირებულ ქალად ამ პერ-იოდის ეგვიპტეში. შვილის გარდაცვალების შემდგომ, საკუთარ თავს ადანაშაულებდა, რომ მისმა საქმიანობამ ისე გაიტაცა, რომ ვერ დაეხმარა შვილს ავადმყოფობისას. პროტესტის ნიშნად კი თავისი ლექსების კრებულიც დაწვა. საზოგადოების ზოგიერთი წევრი კი უფრო შორს მიდიოდა, მაგალითად მწერალი ამინ ეფენდი თავის წერილში ჟურნალისთვის „ალ-ჰილალ“, საუბრ-ობს რომ „ისინი ვინც [ქალებიდან] გახდნენ ცნობილნი [წარმა-ტებულნი] განპირობებულია მათი ადგილით, გარემოცვითა და დამხმარებით და ამასთანავე ისინი არიან როგორც ბუნების ანომალია, ცხოველი ადამიანის თავით ან კაცი ორი თავით“ [هن من فهن ذلك ومع مستشاريهن و حاشيتهن و لمركزهن به فالفضل (النساء من) اشتهرن اللواتي براسين رجل او انسان برأس حيوان كجسم الطبيعة فلتات] (الفتاة, ,1894, #10: 409).

„ალ-ფათა“-ს რედაქტორი და ავტორები ღიად აკრიტიკებენ იმ ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ინდივიდის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები გენდერული ნიშნით განისაზღვრება. ისინი ამ პრაქტიკას აღიქვამენ როგორც დისკრიმინაციულსა და დამკვიდრებულ პატრიარქალურ დისკურსს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცების მიერ ქალების დაქვემდებარების იდეოლოგიურ იარაღად გამოიყენება. ასევე აღნიშნულია გენდერული სტერეოტიპების მავნე ზემოქმედება ქალების საზოგადოებაში თვითწარმოჩენასა და ჩართულობაზე.

ჰ. ნავფალი: „ვინც ჩაუღრმავდება ამ დომინანტურობის წარმოშობას, გააცნობიერებს, რომ ეს ცოდვა ორივე მათგანის [კაცები და ქალები} კისერზეა და იმსახურებს გაკიცხვას. როგორც ერთ-ერთი შედეგი ამისა, გოგონას ჩამოერთვა თავისი უფლება საზოგადოების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ შექმნის პრინციპით ისინი ერთნი არიან ბრძანებით და აკრძალვით, ძალისხმევით და მონდომებით. [ذنيا منهما كل عاتق على برى الغلبة هذة منشأ في أمعن من و مع الاجتماع هيئة من حقها الفتاة سلب نتايجه من كان حيث العتب يستحق و الملاماة يستوجب السعى و الجد و النهى و الامر في واحد الخلق مبدا في انهما]
(الفتاة, 1892, 1#: 33).

ჰ. ნავფალის ნათესავი, რომელიც ნავფალის გვარსვე წარმოადგენდა, წერილში (الفتاة; 1893, #4: 162) აღნიშნავს, რომ პლატონსა და არისტოტელესაც ისე რომ მოქცეოდნენ, როგორც ჩვენ (ქალებს) გვეპყრობიან, უფრო ნაკლები უნარები ექნებოდათ, ვიდრე ჩვენ გვაქვს, იმდენად რომ საუბარსაც ვერ შეძლებდნენ და ბავშობიდან იზოლირებულად იცხოვრებდნენ... ჩვენ ხშირად მოგვაწერენ გონებისა და ზნეობის ნაკლებობას და არ ეშინიათ განკითხვის დღის სასჯელის.

ქალის არსებულ მდგომარეობაში ჰ. ნავფალი უპირველეს დამნაშავედ მიიჩნევს მამაკაცს „წლები გადის და გოგონა უცვლელად დგას თავისი სტატუსით ადამიანთა საზოგადოებაში,

ვერ ბედავს ნაბიჯის გადადგმას თავისი ადგილის მოსაპოვებლად და თავისი სტატუსის ასამაღლებლად, რადგან მამაკაცმა აიძულა მას დაეთმო თავისი ღირსება, მას შემდეგ რაც მასზე აიღო კონტროლი, აიძულა მის ნაბიჯებს მიჰყოლოდა, შიშით რომ გაუთანაბრდებოდა სიდიადით და მისი შედეგებით ისარგებლებდა. [لا الإنسانى المجتمع فى شأنها على قائمة والفتاة الدهور وكرُّت السنون مرت لقد وأبى كرامته على أكرهها الرجل لأن ،شأنها ورفع مقامها على للحصول خطوة تتقدم أن تجسر معه وتنتفع العظمة فى تساويه أن من خوفًا ،خطواته ترافق أن أمرها زمام على استولى أن بعد الإقدام ثمرة من] (الفتاة; 1892, #1: 22) თუმცა, ასევე ქალებთან მიმართებით აღნიშნავს, რომ მათი უმოქმედობა არ იყო არაფერი გარდა არჩევანისა, სანამ ამ ყველაფერმა გავლენა არ იქონია მამაკაცის მდგომარეობაზე და ქალის სიმშვიდეზე.

3. ნავფალი არამხოლოდ არ ეთანხმება მოსაზრებას შესაძლებლობების განსხვავებულობის შესახებ გენდერული ნიშნის მიხედვით, ის ასევე აკრიტიკებს თვითონ ქალთა საზოგადოების ნაწილში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ქალი არ საჭიროებს განათლებას და მუშაობას, რადგან მამაკაცი დაიბადა საქმისთვის, ხოლო ქალი სიზარმაცისთვის; რომ განათლება არ იძლევა ქალისთვის მატერიალურ სარგებელს, ის მხოლოდ მორალურად ვნებს, რადგან წერა-კითხვის მცოდნე გოგონები შემდგომ გატაცებულნი არიან ვაჟებთან მიმოწერით. 3. ნავფალი ქალთა საზოგადოებაში არსებული ამ არასწორი აღქმების მიზეზად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ისინი ვერ იაზრებენ განათლების მნიშვნელობას და იმ შესაძლებლობას, რასაც ის მათ მისცემთ, „თუ ქალებს ეცოდინებათ, რომ აღზრდა-განათლება მათ მისცემთ თანაბარ შესაძლებლობას და ძალას, რომ მონაწილეობა მიიღონ მათ [სავარაუდოდ უნდა იყოს مشاركتهن და არა مشاركتهم] გონებრივ აქტივობებში როგორიც არის წერა, სწავლება, რიტორიკა და დაავადებათა განკურნება, როგორ არ უნდა ესწრაფოდნენ სწავლას. [على تقويهن و بدرجة درجتهن تساوى شانهن تعطى التربية السيدات علمت فاذا

لكن غيرها و المرضى معالجة و الخطابة و التعليم و كاتليف العقلية الاعمال في مشاركتهم التعلم يبادرن] (الفتاة; 1894,#4: 112)

ნავფალი იზიარებს მოსაზრებას, რომ ქალსა და მამაკაცს შორის პოზიციური თანასწორობის მიღწევას თაობები სჭირდება, რადგან მამაკაცისგან განსხვავებით, რომელსაც მამისგან მოჰყვება მყარი ცოდნა და ბავშვობიდან ამზადებენ ამა თუ იმ პოზიციისა და საქმიანობისთვის, ეს ქალს არ გააჩნია, განსაკუთრებით კი აღმოსავლელ ქალს, მცირე გამონაკლისის გარდა. ასევე მიაჩნია, რომ ქალებმა ჯერ მცირედით უნდა დაიწყონ, რაც თანხვედრაშია იმ დროს ქვეყანაში არსებულ კონტექსტთან, რომ ქალთა საკითხთან მიმართებით განსახორციელებელ რიგ ცვლილებებს საზოგადოების მზადყოფნა ესაჭიროება, რაც გარკვეული დროის გასვლას მოითხოვს (მაგალითად თავსაფრის საკითხი).

რედაქტორი, ჟურნალის აღმზრდელობითი დატვირთვიდან გამომდინარე, ასევე განიხილავს სიზარმაცის პრობლემას საზოგადოებაში და მიუთითებს, რომ განათლების ნაკლებობა და უსაქმოდ ყოფნა თუ ვნებს მამაკაცს, მსგავსი შედეგი აქვს ქალისთვისაც.

XIX-XX საუკუნების ეგვიპტეში დეკოლონიზაციის, ნაციონალიზმისა და მოდერნიზაციის კონტექსტში ქალის საკითხი განიხილებოდა მისი როგორც ძლიერი ოჯახის ფუნდამენტის, ერის მომავლის აღმზრდელის ჭრილში. ამდენად ეს მიდგომა, რომ განათლებული დედა, რომელიც აღზრდის ძლიერ მოქალაქეს, ხელს შეუწყობს ოჯახის სიძლიერეს, წარმოადგენს სახელმწიფოს ძლიერებისა და პროგრესის ბაზისს, ასევე გაზიარებული იყო ამ დროის ქალთა პერიოდული გამოცემების მიერ.

თარბიდა-ს (არაბ. تربية აღზრდა-განათლება) ანუ ბავშვთა აღზრდა-განათლების საკითხს ეხმაურება ჰ. ნავფალიც თავის ჟურნალში. ამ პერიოდში, საზოგადოებაში აქტიურად გამოკვეთდნენ ბავშვთა აღზრდა-განათლებასთან დაკავშირებულ პრობ-

ლემებს შემდეგი მიმართულებებით: არაკვალიფიციური ადგილობრივი აღმზრდელები; ევროპელი აღმზრდელები, მათ მიერ აღსაზრდელებისთვის დასავლური ღირებულებების, კულტურის მიწოდება და ეროვნული კულტურის, ფასეულობების უგულვებელყოფა; დედისა და აღმზრდელის პროცესში მონაწილეობის ბალანსი; აღზრდის მეთოდები.

ჰ. ნავფალი იზიარებდა საკითხის მნიშვნელობას, „განათლება ბავშვობაში ქვაზე გრავირების მსგავსია“ كالنقش الصغر في العلم الحجر في] (الفتاة; 1892, 1#: 35)] და მიაჩნდა, რომ აღზრდას, რასაც ბავშვი მცირე ასაკში იღებს, მთელი ცხოვრება აქვს გავლენა მასზე. ის უარყოფითად აფასებს მსახურ-აღმზრდელზე ამ ფუნქციის დაკისრებას, რამდენადაც მისი აზრით, ისინი იშვიათად ახერხებენ ბავშვების ისე აღზრდას, როგორც საჭიროა. ჰ.ნავფალის აზრით, ცუდი დედა არის ის, ვინც შვილებს უყურადღებოდ ტოვებს და სხვებზე აქვს მინდობილი მისი აღზრდა. აქვე აღნიშნავს, რომ ბევრი მათგანი შემდგომ ამ გადაწყვეტილებას ცხოვრების ბოლომდე ნანობს. მისთვის მისაღებია ორივე მშობლის ჩართულობა პროცესში. ნავფალისთვის კარგი დედაა ის, ვინც მთელ თავის ძალისხმევას ახმარს მცოდნე ვაჟებისა და სათნო გოგონების აღზრდას, რომლებიც სარგებელს მოუტანენ სამყაროს თავიანთი ცოდნითა და საქმით. მისთვის ღმერთისგან დაჯილდოვებულია დედა, რომელიც თავის დროს, ცოდნას, შრომას შესწირავს შვილების აღზრდას, მათ განათლებას და მათთვის დისციპლინის სწავლებას. მისთვის შვილების აღზრდა ჯაჭვური პროცესია, სადაც დედას შეუძლია მაგალითად აქციოს თავისი ახალგაზრდობის დღეები ქალიშვილისთვის.

ქალთა განათლების უფლებაზე საუბრისას კი ჰ. ნავფალი იზიარებს მოსაზრებას, რომ გოგონებისთვის განათლების შეზღუდვა დანაშაულია „უდავოა, რომ ყველა ერი, რომელიც უგულვებელყოფს გოგონათა აღზრდა-განათლების საკითხს, არ

იცავს ადამიანის უფლებებს, მისი წევრების [მოქალაქეების] ზნეობა ირყვნება, გონება სუსტდება და მათი საარსებო საშუალებები ნადგურდება“. [بالحقوق تف لم البنات تربية امر اغفلت أمة كل أن ريب ولا معايشهم اسباب تعطلت و عقولهم وضعفت افرادها الاخلاق فسدت الانسانية] (الفتاة; 1894, 5#:211). მიაჩნია, რომ რაც არ უნდა განათლება მისცენ ვაჟებს, ეს ამაო იქნება, თუ იგივე აღზრდა-განათლება არ ექნებათ გოგონებს [لارتقاء و تقدما تحوز فلا العلمى والارتقاء العقلى التهذيب في بلغت مهما ابنائها لان البنات بين و بينهم مشتركة غير التربية دامت ما] (الفتاة; 1894, 5#: 210), რადგან ერთ დღეს სწორედ ეს გოგონები ხდებიან დედები, სახლის მმართველნი და ბავშვთა მორალის ჩამომყალიბებლები. ეს მოსაზრებები, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჰ. ნავფალი ერთი მხრივ იზიარებს ქვეყანაში არსებულ აქტუალურ მიდგომას, რომ ქალის უფლებრივი მდგომარეობის ცვლილების მიზანი – ქვეყნისათვის სასარგებლო დედის აღზრდაა, ხოლო მეორე მხრივ, განათლების უფლების შეზღუდვა მიაჩნია ადამიანის ძირთადი უფლებების უგულვებელყოფად, რაც აზიანებს ერს მორალურად და ეკონომიკურად.

ნავფალისთვის მისაღებია ევროპაში ბავშთა აღზრდის, საოჯახო მენეჯმენტის მხრივ არსებული მიდგომები, მაგრამ მიუღებელია მიმბაძველობა, როდესაც მისი თანამოქალაქენი ამაყობენ, რომ არ ესმით მშობლიური ენა, უგულვებელყოფენ თავიანთ ადათ-წესებს, სახელებსაც კი იცვლიან, რომ ხაზი გაუსვან საკუთარ დასავლურობას. ნავფალს მიაჩნია, რომ ეს არის დასავლური ცივილიზაციის და მისი დადებითი მხარეების გაზიარებისზედაპირული და არა გააზრებული მცდელობა.

ქალის მუშაობის უფლებასთან დაკავშირებით, ჰ. ნავფალი მიიჩნევს, რომ იმუშავებს თუ არა ქალი დამოკიდებულია მასზე და მის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თუმცა იზიარებს მოსაზრებას, რომ ქალის უმთავრესი ფუნქცია არის დედობა. შესაბამისად, მიაჩნია, რომ დაოჯახების შემდგომ, შესაძლებლობიდან

გამომდინარე, ქალმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ოჯახს და არ უნდა იმუშავოს მის გარეთ. მის ამ მიდგომას გარკვეულწილად შეესაბამება მისი გადაწყვეტილებაც, როდესაც გათხოვების შემდგომ მან ჟურნალში მუშაობა შეწყვიტა, რაც ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის მიზეზად არის მიჩნეული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ნომრების შესავალ სიტყვაში გვხვდება მინიშნებები, რომ ჟურნალი გამომწერთა და, შესაბამისად, შემოსავლის ნაკლებობას განიცდიდა, რაც ვფიქრობ ასევე გახდა მისი დახურვის მიზეზი.

ამ პერიოდის ეგვიპტეში ქორწინება, განქორწინება და პოლიგამია რეფორმის საჭიროების მქონე საკითხთა სიაში შედიოდა, როგორც ოჯახისა და საზოგადოების დასუსტების გამომწვევი. ამდენად, ნავფალის მიერ ეს საკითხებიც განხილულია. ქალისა და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულების შეფასებისას აღსანიშნავია, რომ ჰ. ნავფალი ქალს მიიჩნევდა მამაკაცის პარტნიორად, შარიქად (არაბ. شريكة- პარტნიორი, მონაწილე), „რომელთანაც ის იზიარებს ცხოვრების სიხარულსა და მწუხარებას, სიამოვნებასა და გაჭირვებას, ისინი თანასწორნი არიან ქმედების ძალაში და ემოციურ ზემოქმედებაში“. [تشاطره دنياه في الرجل شريكة هي و التاثر وعاطفة الفاعلة القوة في سواء هما و , ضراها و سراها تقاسمه و بؤسها و الحياة نعيم] (الفتاة; 1892, 1#: 33) სტატიაში „გაცხადება, კავშირი, ნებართვა“ ის საუბრობს, რომ მამაკაცი ქალისაგან გამოირჩევა სიმამაცით, გამძლეობით და გულადობით, ხოლო ქალი ბუნების სილამაზით, გულის სინაზით და გონების (ლოგიკის) სიტკბოებით, და რომ მათ აქვთ ბუნებრივი მიზიდულობა-სიყვარულის ინსტიქტი... ყოველი მათგანი უნდა დაეხმაროს მეორეს ფულის შოვნაში, სახლის საქმეთა მართვაში, ბავშვთა აღზრდაში და საქმეთა შესრულებაში, და გაიღო მათ წინაშე კარები ბუნებისა და სამყაროს საიდუმლოებათა... და იქცა პირველის ბედნიერება მეორესთან დაკავშირებულად. ოჯახურ და ცოლ-ქმრულ ურთი-

ერთობებთან მიმართებაში, მას დამნაშავედ ორივე მხარე მიაჩნია. როგორც აღნიშნავს, შეცვლილი დროების მიუხედავად, ქმარი ცოლში ხედავს უუფლებო ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავისა და სურვილების მართვა, ხოლო ქალს არ აქვს შესაბამისი უნარები, რომ გვერდით დაუდგეს ქმარს და შესაბამისი პარტნიორობა გაუწიოს. ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა, რომ არსებული მოვლენაა, რომელიც ამ პერიოდის საზოგადოების გარკვეული ნაწილისგან არის შეზღუდული და უგულვებელყოფილი, ამის მაგალითად ჰ. ნავფალს მოჰყავს ქვეყანაში ფელაჰთა (გლეხები) წარმომადგენლების ცხოვრება. როგორც ჰ. ნავფალი აღნიშნავს „ზოგადად სოფლებსა და პროვინციებში უზიარებენ თავიანთ ქალებს საქმეს და ვერ ხედავენ მათში ვერაფერს, გარდა თანასწორისა.'' يحسب يكاد شان هذا و يجدون فلا أعمالهم على نساءهم يشاطرون ممن والارياف القرى سكان بين عاما الشرق في الكفأة الا منهن] (الفتاة; 1894, 10#: 412), რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ისტორიკოსთა შეფასებას, რომ სქესთა სეგრეგაციისა და ქალთა განცალკევების პრაქტიკა მეტად გავრცელებული იყო საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლებში.

„ალ-ფათა"-ში, ისევე როგორც შემდგომ დაარსებულ ჟურნალებში, რუბრიკა წარმატებული, ცნობილი ქალების შესახებ მიზნად ისახავდა, ეჩვენებინა ქალების შესაძლებლობები, როგორც თვითონ ქალებისთვის ასევე მამაკაცებისთვის. მაგალითად, მეთორმეტე ნომერში, სტატიაში „ან-ნისა'", სადაც ა. ეფენდის მოსაზრების, რომ წარმატებული ქალი ბუნების ანომალიაა, საპასუხოდ ჟურნალი აღნიშნავს, რომ ისტორია, რომელიც ყველაზე დიდი მოწმეა, სავსეა ამბებით ასობით, ათასობით გამორჩეული ქალის შესახებ, რომელნიც სიმამაცით, ზნეობითა და კარგი საქმით აღემატებოდნენ მამაკაცებს. რედაქტორი, ამ შემთხვევაში სავარაუდოდ ჰ. ნავფალის მამა აღნიშნავს, რომ მან გადაწყვიტა წარმოადგინოს ასეთი ბიოგრაფიები ამ პოზიციის სიმცდარის საჩვენებლად.

ჰ. ნავფალის და ზოგადად ამ პერიოდის პერიოდული გამოცემების მიერ მეტწილად შემოთავაზებულია დასავლელი ქალების ბიოგრაფიები. მაგალითად, „ალ-ფათა“-ს პირველ ნომერში 5 ბიოგრაფიიდან,[76] არცერთი არ არის არაბი, აღმოსავლელი ქალის შესახებ, რაც არ უნდა იყოს განპირობებული რედაქტორის რელიგიურ-კულტურული კუთვნილებით ან დასავლური, ქრისტიანული სამყაროს ზეგავლენით, არამედ გამოწვეულია იმით, რომ მის თანამედროულ აღმოსავლეთში, ქალები არ იყვნენ აქტიურად წარმოდგენილნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჰ. ნავფალი აღნიშნავს, რომ აღმოსავლელი ქალი მუდმივად ასეთ ვითარებაში არ იყო, პირიქით აღმოსავლეთსა და ძველ ეგვიპტეში ქალთა მდგომარეობა იყო ისეთი, რისთვისაც მის თანამედროვე ევროპასაც კი ჯერ არ მიუღწევია.

ქალის, როგორც ინდივიდისა და მოქალაქის მისეული ხედვა, ვფიქრობთ ჩანს სტატიაში „გაცხადება, კავშირი, ნებართვა“, სადაც ის ითხოვს უკუკავშირს ქალებისგან, მის ჟურნალში მონაწილეობით. განიხილავს, პრესაში ქალთა ჩართულობას ევროპასა და ამერიკაში, როგორც ამ სახელმწიფოთა წინსვლის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს, ხაზს უსვამს, რომ ის, ქალის, როგორც მოქალაქის, როლს ხედავს აქტიურს საზოგადოებაში და მოუწოდებთ მათ საზოგადოებრივ დისკუსიებში აქტიური მონაწილეობისკენ. ასევე აღნიშნავს, რომ ქალის საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართვა, როგორიც არის პერიოდულ გამოცემებთან თანამშრომლობა, მუშაობა (თავსაბურავით თუ მის გარეშე), არ მიეკუთვნება ისეთ ქმედებებს, რომელიც ვნებს მათ მორალსა და ღირებულებებს.

---

[76] დედოფალი ვიქტორია (1837-1901); ბარონესა ანჟელა ბურდეთ-ქუთსი (1814-1906); მარიამ მორგანი (1828-1892); ადელინა ბათი (1843-1919); ჯონ ქართუნი; პირველ ნომერში წარმოდგენილი.

ჰ. ნავფალის მიერ ქალის როლის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია სტატია, სადაც რიტორიკულ კითხვას, თუ რა არის ქალისთვის მნიშვნელოვანი საქმე, ის პასუხობს: „...მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, გოგონებისთვის არის ... რომ დაინახოს (გოგონამ) საკუთარი თავი (გოგონა, რომელიც არ არის დაფარული რწმენისა და ტრადიციების საფარველით) არსებულად (ცოცხლად) ადამიანთა საზოგადოებაში, რომელიც მას ცოდნით, ღირსებით აქცევს ღირებულ წევრად საზოგადოების, უფრო მაღალი სტატუსის მქონედ ვიდრე ტკბილად მომღიმარი, ლამაზი ყვავილია, რომლითაც ერთობიან და აღარ უნდათ, როდესაც კარგავს ახალგაზრდობას“ [ذلك الكاريمات القارئات ايتها لكن تبين فاذا في ان فاقول ابائهن بيوت من به الابتداء و النساء على لازم العمل عن السؤال رغبتهن و اي) لنفسها الفتاة ترى ان الاعمال اهم ان غير الاقلام لتبارى رحبا مضمار هذا على الجواب علومها و بادابها يجعلها الانسانى المتمع في وجودا العوائد و العقائد حجاب يحجبها لا التى الفتاة الرائحة طيبة زهرة من مقاما أعلى و الاجتماعية الهيئة في نافعا عضوان كمالها و حشمتها و نضارتها فقدت قد و ذابلة وهي ينبذها لا ثم حينا بها الراى يتنعم المنظر جميلة]. (الفتاة; 1894, 10#: 413).

დასკვნა

ჰ. ნავფალის ჟურნალი „ალ-ფათა“, რომელმაც ეგვიპტეში, ასევე არაბულ სამყაროში სათავე დაუდო ქალთა მართულ და ქალებისთვის განკუთვნილ პერიოდულ გამოცემებს და ქალთა უფლებებისთვის ბრძოლას, მრავალმხრივი შესწავლის საგანს წარმოადგენს.

„ალ-ფათა“ არის არაეგვიპტელი, ქრისტიანი ქალის მიერ მართული პირველი ჟურნალი მუსლიმური უმრავლესობის ქვეყანაში, რომლის რედაქტორი შესწავლილ მასალათა მიხედვით, აღმოსავლელ, არაბ ქალზე მითითებით, რელიგიური ნეიტრალობით, ცდილობს დაძლიოს საზოგადოების შესაძლო უარყოფითი დამოკიდებულებები და მიაღწიოს მკითხველთა კეთილგანწყობას, მათი რელიგიურ-ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

XIX საუკუნის ეგვიპტეში საზოგადოების კონსერვატიული ფრთა ქალთა ბეჭვდურ საქმიანობაში ჩართულობას მორალისა და ღირსების საზიანო ქმედებად მიიჩნევდა. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ოჯახის უფროსი წყვეტდა, თუ რა წიგნებისა და ჟურნალების კითხვა შეეძლო ქალს. ასეთ გარემოში, გაზეთის რედაქტორის გენდერული კუთვნილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მკითხველის მიმღებლობასა და აღქმებზე. თუმცა, თავად ჟურნალის მეათე ნომერში აღნიშნულია, რომ ქალები უფრო ლმობიერად რეაგირებდნენ მათ მიმართ გაჟღერებულ კრიტიკაზე მაშინ, როცა ის მათივე სქესის წარმომადგენლისგან მოდიოდა, ვიდრე მამაკაცისგან წამოსულ კრიტიკაზე.

3. ნავფალი თავის ჟურნალში გადალახავს იმდროინდელი „ქალის საკითხის“ ჩარჩოს, რომელიც ქალის გაძლიერებას მხოლოდ ოჯახურ კონტექსტში ხედავდა. იგი იზიარებს ქალის, როგორც დედის, ცოლისა და დიასახლისის როლსა და მნიშვნელობას ოჯახის, საზოგადოებისა და ქვეყნის კეთილდღეობის შენებისთვის. თუმცა, ასევე მიაჩნია, რომ ქალი არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, მამაკაცის პარტნიორი (შარიქა), რომელიც არის თანასწორი, აქვს განათლებისა და მუშაობის უფლება.

3. ნავფალი „ალ-ფათა“-ს მიიჩნევდა სანდო ცოდნის გავრცელების საშუალებად, რომელიც ემსახურება ერსა და სახელმწიფოს – საშუალებად, რომელიც აღმოსავლურ სამყაროს აძლევდა შესაძლებლობას – ეხილა აღმოსავლელი ქალის სათნოება, ემოციები და კარგი მანერები. ის ხაზს უსვამდა, რომ „ალ-ფათა“ არამხოლოდ პირველია როგორც ქალთა ჟურნალი, არამედ პირველია როგორც ჟურნალი, რომელიც მიზნად ისახავს ქალის მოპარული უფლებების დაცვას და აუცილებელ ვადლებულებებზე ყურადღების გამახვილებას. მიგვაჩნია, რომ ჟურნალში არსებული რუბრიკის სახელწოდება „ქალის მოვალეობები და უფლ-

ებები,“ სადაც პირველ ადგილას დგას მოვალეობები/ ვალდებულებები და შემდგომ უფლებები, ზუსტად პასუხობდა ქვეყანაში არსებულ პათოსს, რომ ქალის შეუსრულებელი მოვალეობების გამო შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს წარმოადგენდა მისთვის უფლებების მიცემა.

3. ნავფალი, ქალისა და მამაკაცის ურთიერთმიმართების განხილვისას, აღნიშნავს, რომ ქალი არის მამაკაცის „შარიქა“, რაც არაბულად ნიშნავს პარტნიორს, თანამონაწილეს და ამით მიუთითებს მათ შორის თანასწორობაზე. ასევე ნავფალი ჟურნალს მიზნად უსახავს, რომ ჩართოს მამაკაცები ქალთა თანასწორობის მიღწევის საქმეში, რამდენადაც ეს მათი მონაწილეობის გარეშე ვერ მიიღწევა. მიაჩნია, რომ ეს ჩართულობა თვითონ მამაკაცების ინტერესშია, რადგან „გუშინ ის (ქალი) იყო მისი დედა, რომელიც აძლევდა ცოდნას და ასწავლიდა ქცევას, დღეს ის არის პატარძალი, რომელსაც უნდა გაუზიაროს თავისი ფიქრები და იდეები, ხოლო ხვალ – ის, ვინც ასწავლის მის შვილებს და ყველას ვინც მის გარშემოა“[التهذيب و الاداب علمته أما بالامس له كانت وقد لا كيف قريب ات كل و بنيه تعلم غدا و أفكاره و بارائه ستشاركه عروسا اليوم هي و (الفتاة; 1892, 1#: 32).

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ „ალ-ფათა“ სრულად ასახავდა ქვეყანაში ქალის საკითხისადმი არსებულ მიდგომას, რომ სახელმწიფოს ესაჭიროებოდა კარგი დედა, დიასახლისი, რადგან ძლიერ ოჯახზე იდგა ქვეყნის ძლიერება.

ქალის უფლებები, რაც გამოიხატებოდა თანასწორობაში, განათლებისა და მუშაობის შესაძლებლობაში, ნავფალს მიაჩნდა არა მოსაპოვებელ კატეგორიად, არამედ დასაბრუნებლად. ამიტომაც ის არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ქალთა არსებული მდგომარეობა არ იყო ბუნებრივი განითარების შედეგი, ითხოვდა მოპარული უფლებების დაბრუნებას და უგულვებელყოფილი ვალდებულებების შესრულებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უგ-

ულვებელყოფილ ვალდებულებებში, ვფიქრობთ ნაგულისხმევია როგორც მამაკაცების მხრიდან ქალებისადმი მათი მოვალეობების, ასევე ქალების მხრიდან საკუთარი თავისადმი არსებული ვალდებულებების უგულვებელყოფა.

ჰინდ ნავფალის გოგონა, ქალი და მოქალაქე ქალი არის: მამაკაცის პარტნიორი, მისი თანასწორი ბუნებრივი უნარებისა და შესაძლებლობების მქონე, ის ვინც იღებს განათლებას, მუშაობს, აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არის მებრძოლი მოქალაქე. ჰ. ნავფალის და მისი როლის შეფასებისას ქალთა უფლებრივი მოძრაობის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით დაძლია მისი „უცხოობის“ შესაძლო გავლენა აუდიტორიის დამოკიდებულებაზე „ალ-ფათა“-ს მიმართ. ჟურნალი აქცია არა მხოლოდ ქალებისთვის განათლების, თვითგამოხატვის შესაძლებლობად, არამედ ხმად, რომელიც წარსულიდან და აწმყოდან ქალთა შესაძლებლობების და მიღწევების ჩვენებით, უპირველესად ქალებს და არამარტო მათ, უჩვენებს მათი შესაძლებლობების, თავისუფლების და სქესთა თანასწორობის მაგალითებს.

ბიბლიოგრაფია:

Baron B. (1994). *Readers and the Women's Press in Egypt Poetics Today,* Cultural Processes in Muslim and Arab Societies: Modern Period II Vol. 15, No. 2, pp. 217-240.

Baron B. (1994). *The Women Awaking in Egypt,* Yele University

Booth M. (2001). *Women in Islam:* Men and the “Women’s Press” at the Turn of the Twentieth Century in Egypt, United States of Americ, Int. J. Middle East Stud. 33, pp 171-201.

Jara'id: A *Chronology of Arabic Periodicals (1800-1929).* https://projectjaraid.github.io/pages/chrono.html

Jara'id: A *Chronology of Arabic Periodicals (1799-1900).* https://archiv.zmo.de/jaraid/HTML/tabddchr.html

Nawfal H. (1892). *Al-Fatah,* https://wmf.org.eg/en/publication/al-fatat-magazine/

Seedat F. (2013). *Islam, Feminism, and Islamic Feminism:* Between Inadequacy and Inevitability Journal of Feminist Studies in Religion, Vol. 29, No, 2, pp. 25-45.

Shakry, O. (1998). *Schooled mothers and structured play:* Child rearing in turn-of-the-century Egypt. In L. Abu-Lughod (Ed.), Remaking women: Feminism and modernity in the Middle East pp. 126–170. Princeton University Press.

Philipp, T. (1978). *Feminism and nationalist politics in Egypt*. In L. Beck & N. Keddie (Eds.), Women in the Muslim world pp. 277–294. Harvard University Press.